

6316


F $\frac{885}{3}$

ს ი რ კ ე
გურულთა ცხოვრებისა

ანუ

გურულთა დახასიათება-ჩივილებანი მოქლე ნაწილი-
რეზიტა.

მესხის კონსტანტინე გვარაშვილისა.



ფასი 5 კაპ.

თბილისი.

სტამბა ქა. ავ. სელაძისა, რუსის ბაზარი, საეკკ. საბჭო.
1902.

1920 1920 1920 1920 1920 1920

010-0101010 010101010

6916. 39 (47.222)

ეურნილ „მოგზაურიდაშ“ გადმობეჭილი.

ს ი კ ე


გურულთა ცხოვრებისა

ანუ

გურულთა დასაციათება-ჩვეულებანი მოქლე ცაცხლი-
ტებით.

მესხის ქონის ტანტინე გვარაშაძისა.

100
100



ისეიიდება „მოგზაურის“ რედაქციაში (Межевая ул., № 72).

წიგნებით მოფარებებს დაუთმობა 20%.


თარიღი 06.0.

სტამბა ექ. 76 რედაქციაში, რუსის შაზარი, სავაჭრო სახლი.

1902.

FS

37 (20 x 13) 5





საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკი

სამართლის მიერ განკუთხული და განვითარებული სამსახურის
სამსახურის მიერ განკუთხული და განვითარებული სამსახურის

სამსახურის მიერ განკუთხული და განვითარებული სამსახურის

Дозволеною цензур. Тифл.исъ 3 Ноября. 1902 года.

1882



ස අ ර ම ග

හුරුවන් සේවකාධිකාලය

අනු

හැකුවෙන දානාවෙන තොනා-සේවකාධිකාලය මෙයෙන් නොමැත.

ශේෂුකුලුදෙළඟ, රෝම ගුරුතුලංඩා මුදිලි ප්‍රියලාභී උර ගා-
මන්තාරුදෙන් දා මාසිනාවු ප්‍රාදු-ක්‍රිස්ත්‍යාපු උර ගුරුතුලුදෙන් දා
මාර්ග්‍රූහුණුපු උර තුළු.

ගුරුතුලංඩා මානුළුලුදෙන් ප්‍රියාදාපු රෝම දායාන්තු පිරි දා
නියුද ටොනා කුඩා ජ්‍යාලි මියුලුදෙන්, උර ප්‍රියා පිරි දා-
යාන්තු තුළු; මාස මෙමුලුද මාශින ප්‍රියාදා, රෝදුසාපු තාන ගුරු-
තුම්බරිලුදෙන් ජ්‍යාප්‍රියාදා පිරියාදෙන් පිරියාදෙන් නියුද.

මෙමුක්‍රියා ප්‍රියාදා (ප්‍රියාදෙන්) ගුරුතුලු තාව්තී යුද-
දායා ප්‍රියාදා, මාස ප්‍රියාදා; මාස දායාදා දා ගුරුතුලුදාප්‍රියාදා කි
ගාජාලුදෙන් ටොනා මාන්තු පිරියාදෙන් පිරියාදෙන් පිරියාදෙන්.

ගුරුතුලි ම්‍රිදි පිරියාදෙන් තාව්තී පිරියාදෙන් පිරියාදෙන් දා-
යාදෙන්; මාස දායාදා පිරියාදෙන් පිරියාදෙන් පිරියාදෙන් පිරියාදෙන්
මාස පිරියාදෙන්: „අපුරුෂා... මුදු... මාරා මාස පිරියාදෙන්“.

දුෂ්‍රාත ප්‍රියාදෙන් පිරියාදෙන් පිරියාදෙන් පිරියාදෙන් පිරියාදෙන්
ම්‍රියාදෙන් පිරියාදෙන් පිරියාදෙන් පිරියාදෙන් පිරියාදෙන් පිරියාදෙන්
මාස පිරියාදෙන් පිරියාදෙන් පිරියාදෙන් පිරියාදෙන් පිරියාදෙන් පිරියාදෙන්

რო მზითებში ექვსი ვენის სკამი კარგი კამოდითურთ დან არა
გაატანონ, ეს მოდათაა ახლა; ამ ბოლოს დროს სამოვარიც
თან დაამატეს, რაიცა, მგონია, ჩაქვის ჩაის პლანტაციების გა-
უმჯობესობამ გამოიწვია მათში. მოყვარემ თუ მიუკლო უკა-
ნასენელი, ქალის წიმყვანი შეუთვლის: თუ „საომარსაც“ არ
მიგზავნი, შემომითვალე, ვარს ეჩივი ყოლიფერზედ, აღარ მი-
მყავს ქალით.

გურული ქალის და ქალი კი კაცის იმ ზომს ტრაქიალია
(არშიყია), რო ყოვლიფერზედ მაღლა ამას აყენებენ, მარა მა-
სთანავე არც ის ავიწყდებათ, რო სწავლა პირველია ამ დრუ-
ში და მას სჭირია უპირველესი აშიყობა.

გურულს ლუკმა მჟადიც რომ არა პქონდეს, ის შათხო-
ვრობის მიინც არ იყადრებს, თუნდაც ცოლშვილიც სიმში-
ლით ეხოცებოდეს; ამის გაბედვას ქურდობას უფრო ამჯობი-
ნებს (უკანასკნელ გასაჭირში).

გურული ხშირად კაცის მოკვეთის ბოლოკათაც არ აფ-
დებს; — „ერთ დღეს დაბადებული, ერთ დღეს უნდა მოკვდე-
სო და სირცხვილს სიკედილი ბევრად სჯობიანო“, — იძახის
იგი. ამისათვისაცაა, რომ გურული ფირალი (ყაჩალი) თუ და-
მარცხდა მაღევართაგან, ხშირად თავს აკლავს მათ, რაცდანაც
იგი სირცხვილეულობს ცოცხლად დაჭერინებას (დანებებას).

მტრობის გადაუხდელობას გურული, დიდი იქმნება თუ
პატარა, საფლავში არ ჩაიტანს; იგი ცდილობს, რაც შეიძ-
ლება ჩქარა აწყინოს მტრებს, რომ დაიმშვიდოს მტრო-
ბისაგან აშლილი ნერვები, ე. ი. სისხლი სისხლით მოსისხლოს
და ჯოხით დასირცხვა ჯოხითე დაასირცხვოს ზედ ნადებით,
რასაკირველია; ამიტომ ბევრათ სჯობიან სხვაგან ითასი კა-
ცის გადაკიდება, ვიდრე აქ ერთი გურულისა.



გურულს სული ცხვირში აქვს და სისხლი თავში; როცა
განრისხებულია, იმ წამს არაეითარ აეობას არ ზოგავს იგი,
თუნდაც თავის თჯაბში იყვეს მშობელ-და-მამა-კოლ-შეილთა
შორის; დარტყმა, მოკველა და მასთან უსიამოვნება იუკილე-
ბელია (დიდი იყოს თუ პატარა—ეს სულ ერთია); ამისათვის
ერთმანეთს უფროთხილდებიან და ცხოვრობენ მშვიდაღ.

გურულს ათასი მანეთის ზარალი ბეჭრათ ურჩევნია, ე-
დრე სტუმრის პატივის-უცემლობა და მითი თავის მოჯაყეა
(სირცხვილი).

გურული, რაც უნდა დიდი სიღარიბე აწუხებდეს, ალდგომა-
კალანდას (ახალ-წელიწალს) თავის ცოლ-შვილით მაინც იხალ
ტანსაცმელით მოირთობა და ეკლესიაზე ისთე გავა, არც დღე-
ობისა-და-გვარ ჩვეულებრივ მომზადებულ საცმელ-სასმელს მი-
იყლებს და არც გამოწყდება მეზობლებში, სულ რომ ივალ-
ივამშოს, და იმ გვარად საუფლო დღესასწაულებს არ უდალა-
ტებს იგი შესაფერი მიგებებით არასოდეს.

გურული (კაცი იქნება თუ ქალი) თავს გადააყოლებს
თავის პატივის-მცემელსა. იგი ყოველთვის მზათაა სამაგიეროთ
ერთი ათად გადაუხადოს თავის მასიამოვნებელსა მითი, რი-
თაც მას უსიამოვნებია; იმ გვარათ გურული სხვისს პატივის-
ცმას არ შეიშრობს არას დროს.

უცხო სტუმართან თათრის ქალსავით იმალება ახალგაზ-
და გურული ქალი საშინაო ტანსაცმელში; როცა საგარმე-
ლო ტანსაცმელშია იგი მოკვანწული, მაშინ კი თამამიაღ ღო-
ბეზედ შეიმაღლებს (გამოიაშკარებს) თავს ხალხში.

გურულს თავის ნაკლულევანებას ნუ გაუმხელ პირში და
ნურც დაუმალავ იმის სანაქებო თვისებასა, რითაც იგი ამა-



ყობს, თვარა წინააღმდეგ შემთხვევაში დაგემდურებათ, იმ ზომისა, ეწყინება, რომ შეიძლება მტრობაც გავიწიოსთ.

გურულს სირცხვილის ჭამა სიკვდილსავით ემძიმება — თავმოყვარეობა იმდენად განუსაზღვრელი აქვს მას; ემიტომ პატარა გურულიც სირცხვილეულობს უსწავლელობას; როგო იგი სასწავლებელშია და მისი მახანაგები სწავლობენ, ესეც სკლილობს, რომ არ ჩამორჩეს და უკუთაც ისწავლოს მათზე, რითაც თავს ისახელებს.

გურული სასიკვდილოთ მიმდგარს თავის ივათშეოთს იმ-დენათ წამლით ვერ მოუკინებს შეწუხებასა, რავდენათაც ჩე-გურზედ ნელ-ტებილის კვრითა და ზედ წყნარის ღილინით გაახალისებს მისუსტებულს მომაკვდავსა.

ბევრს გურულს თავ-მოყვარეობა იმ ზომს ამპარტავნებს, რო ხშირათ სიბრივეთ ექცევათ ეს სენი, რომლით დიდათ ზარალობს კიდევ, მაგ., მიაქვს გურულს თავისი ნამუშევარ-ნაწარმოები თანურგეთში გასასყიდად, რასაკვირველია, გასა-კირში, თვარა, რო არ უჭირდეს, სრულიათაც არ იკადრებს ამას. ხშირად მალულიად მიაქვს გასასყიდი, სიმინდი იქნება, ქათამი, კვერცხი თუ რაც... მალულათ იმიტომ, რომ სირ-ცხვილეულობს ამის გაყიდვას. შის და ბედად თუ გზაშივე შე-ხვდა მუშტარი ქალაქში მისვლამდის, ზარე ორი პერანგის და-სასველებელს სირცხვილისაგან მოსადგომს ოჯლს ასცილდე-ბა, თუ არა და ისევ იმ სირცხვილის ოთფლის ლუქმა ხდება, რომელიც მას მოადგება საპარასკეოში მუშტრის წინ. სიჩქა-რეში ხშირად იაფად ჰყილის, რაღვანც სირცხვილობს ნაც-ნობმა ვინმემ არ შეასწროს თვალი (როგო ქათამს და კვერცხს ჰყილის). ცოტას რამის გაყიდვას იგი დანაშაულსავით სთელის. ხშირათვე გესმისთ ამ ნაირ გამყიდველთაგან, რომ ჩემი არაა, მეზობელმა გამარანიოდა ვერ მოვუკლებ ფასსო, ასთე დამი-



მოწმესო, ვითომ, ამით იაფად არ ჰყიდის და დიღს დანაშაულობასაც იქივრებენ—მართლდებიან მუშტრის წინაშე, რო მართლაც მეზობლისაა, თვარი იგი პატიოსანი კაცია და რავა იკადრებს ამისთანაების გაყიდვასა... ხელავთ კიდევ ურჩით შეშის, რომელიც უპატრონოთ დგის ქუჩაზედ და გამყიდველი კი შორის-ახლოს იკუნტება; თუ ნაცნობი მიერიდა შემასთან საეკროთ არ გამოჩნდება მეურმე, უცნობთან კი ფეხის თრევით მიუახლოვდება ურემს და ისთვი ეკატერება, მარა, რასაკირველია, ვერც ამას გამყიდის ღირებულ ფასში, რადგან ცეკა-იქ გვერდულებ იცემოდება— ნაცნობმა არ მიუსწროს და არ გაიგოს მისი დანაშაულება, რომ იგი ურემთან დგის და შეშის ჰყიდის. შეიძლება ვაჭრობა და სირცევილი?!

გურული სიტყვა-მოსწრობილია ყოვლიცერში, კადნიერი და თამაში.

1) «გააგდეთ კარშიოა,—დაუძახა მოსამართლემ, როცა ნაცვლათ ორი სიტყვისა, გურულმა მთელი ისტორია დაუწყო მოსამართლესა; მარა მან შემდეგი პასუხით დასწრო მოსამართლესა: «გამიგდონ, რავა, კუნტი კი არა ვარ, ჩემით ვერ გავალ თუ!».

2) სკოლის ბოვშესა ჰქითხეს: «დველი მასწავლებელი ჯობდა, თუ ახალი სჯობიანო?»

— «ახალი სჯობიანო»,—მიუგო ყმაწვილმა.

— «რატომ?»—იმიტომ, რომ დღეს იგი გვასწავლისთვის—მიუგო შეიდი წლის ბაგშემა.

3) გასათხოვარს ჰქითხეს: «ქმარს თუ წაპყვებიო?»—«რეზა არა თუ კი მემსახურებაო!»

— «რითი უნდა გემსახუროს?»

— «მითი, რომ კაი-კაის მიყიდის და ჩამაცმოვს, ვე რომ მინდა სულ მთლია იმფერ კაბ-კაბებს, ტუფლებს, კალოშებს, ცახოცს, ჩემი ბატონი ხარ, და ციც ჭაღსაც კი მაჭვევსო»,—მიუგო ცოცხლათ 17 წლის ყმაწვილმა ქალმა.



გურულს თავი ყველას ურჩევნია, შემდეგ კი თავისი
ცოლ-შეილი მიაჩნია. იმისათვისაც თქმულა აქ: «დედაც შიუ-
გარს, მამაც მიყვარს, თავი ყველას უკეთესათა ან:

„ჯერ თავო და თავოთ,
მერე ცოლო და შეილოთ“.

სხვაგან კი ასთე არ სჯიან:

„დედაც შიუგარს, მამაც მიყვარს,
თავი ყველას მირჩევნია,
მაგრამ ერთი უცხა შეილი
მოელ ქვეყანას მირჩევნია“.

საღაც წახვიდე იქოური ქუდი დაიხურეო, — ტყვილად არ
უთქვამს ეს ხალხს, თუ გურულის ზნე-ხასიათი არ იცის უცხო
კაცმა, თავს ვერ გაიტანს გურიაში, რადგანც არ იცის რა ეწ-
ყინება და რა იამება გურულს; თვითონ კი უნდა ფრთხილოთ
ბდეს, საწყენი არ შეახოს ვინმეს, რომ იმ საწყენით კუპი
არ მოუყვანოს, რომელსაც ცუდი შედეგი ექმნება (ეს უკვე
წინწინე მოვიხსენეთ). ამიტომაცაა, რომ გურიაში მარტოდ
გურული სცხოვრობს და სხვა ხალხს კი (მაგ., სომეხს, ურიას
და სხ.) მოკლებულია. აქედგან უნდა ვიგულისხმოთ, რომ
გურული სხვა ხალხს ვერ იცდის (ვერ გაიტანს).

გურული ქალები აშლაში ხშირად წასძხავენ ერთმანეთს
(თუ შეწმებულია) თავიანთ დანაშაულობასა, მარა თავს ზა-
შინვე იმართლებენ და გაუსწორებენ სიტყვას: «მისთანა რა
მიქნია, დედა-კაცო, რო სხვას არ ექმნის, რალაის შემრცხვე-
ბათა.

არა-გურულს სამი წლის გამოცდილებაც კი ვერას უშ-
ველის-რა თავისი კარგი ნაცნობის გურულის ივ-კარგიანობის
გასაცნობათა; ხოლო გურულსა სამი ნახვაც დაარწმუნებს ნა-

ცნობის არა-გურულის ხასიათსა, ავია თუ კარგი მომზადება შეასრულებს იგი; ხოლო თავის ხასიათსა კი აღვილათ მას აქე-
ნებს სხვასა ხრიყით მოხრიყულ-მოხერხებული გურული.



თუ გსურთ მიგიჩინოსთვის გურულმა ქალმა, საქმარისია შე
მდევით მიეფეროთ: ოჭ, რა ლამაზი ბრძანდებით... ჯერ კიდევ
რევენი (იხალგაზღა) ბრძანდებითა. (მის წლოვანებას რო შე-
ატყოთ, ათი-თუთხმეტი წელიწადი დაუკელით, ამდენის იქ-
ნებით და მეტის კი არათქო.) ჯერ კიდევ ბალანი ქალი
ბრძანდებით... მომწონხართქო, საშინელება ბიჭები გყავთ, მე-
ტად სამარგალიტო ვინჩე (სამაგალითო) და მისთანობა.

გურულს მარხვის ჭამა უფრო ეძნელება, ვიდრე კაცის
მოკვლა.

გურიაში კეთილ-შობილი და გლეხი ერთნაირად ცხოვ-
რობს, ამიტომ ვერ გაარჩევთ, ვან რომელია; ამას გაიგებთ
მხოლოთ მაშინ, როდესაც გლეხი იწვევს მემამულე თავადია-
შეილს და ეუბნება: «მიიღეთ თქვენი საყანულითა (ლალა).

გურული ყოვლისფერში პირადია და ორ უყვარს დაფა-
რული და დაზეწრული, სულ ნათელი და ცხადი ურჩევნია მას. ამისათვის აქ სიყვერულიც ნაღდია და არა დაფარული. გიყ-
ვარს ვინჩე, მიყვარხარო,—უნდა გაუტყდეთ და იგიც მასვე
გაიძახის—მიყვარხარ და მიმაჩინხარო.

გურული ფიცხია, მარა ნათქვამზედ კი მტკიცია, ავს იტ-
ყვის თუ კარგს საზოგადოებაში, კიდეც ასრულებს, საჯა-
როთ სირცხვილს არა სჭიმს. ამისთვის ენდევით ასეთს ნათქო-
მზედ.

F 6316



ყველა პროფინციალის საფუბერნიო ქალაქებში აქვთ: ბანკები, საჯურიონერო ამხანაგობები, ფაბრიკები, პროგიმნაზია, კერძო სასწავლებლის სიმრავლე, ჰყავთ სამუდამო სცენის მოყვარეთა დასები და მისთანაობა. გურულის პროფინციას კი ყველა ეს თავის პატაწი ქ. ოზურგეთში აქვს, საღაც თხის ათას მცხოვრებელს არ აღმატება; კომერცია-ეკონომიკა, სწავლა-აგანთლება და ხალხის საკეთილ-დღიო მოძრაობა სუვერენი, ეს იქ, ამ პროფინციაში, საღაც თხმოც სისოფლო-სამრეცლო სკოლებს (რომელთა შორის უკიდათზე მეტი როგორი სისახლი), ოცამდი სამკითხველოს, 4—5 ამხანაგობას, სამ-თხის აფთიაქს, ათს სისოფლო ბანკს და სხვ. აღმატება საქართველოს ამ პატარი კუთხეში, საღაც თხმოც-ათას მცხოვრებს არ აღმატება და კიდევ სხვიცა, ბევრი საუკეთესო დაწესებულება, რომელიც სხვაგან საქართველოს კუთხეებში ჯერაც კიდევ მოგონებულიც არაა.

—

*გურული ყველა მჭერ-მეტყველია და თავის საქმეებს ბერი თეითონვე იყავს სასამართლოში. ამიტოვაც ნაფიც ვექილებს გურიაში აფერი მნიშვნელობა არა აქვსთ; ან რატომ ექმნებათ მათ მნიშვნელობა, როცა უმათოთაც კარგათ აგზავნიან საჩივრებსა თვით უუმაღლესს მართებლობასთან, რაიცა ნათლად გვიმტკიცებს სამინისტროს ძევლი არხივები, რომელიც თურმე სულ სავსე ყოფილა აქაურელების დაბეჭდებით.

—

გურული ხალხი ქართველ ყველა ტომზე მაღლა სდგას თავისი სიკონიალით: იგი ბევრად ცოცხალია მათზედ, არის მცენიტი, მხნე, მარდი, მოხერხებული, ზრდილი და თავ-მოყვარე; არის ეგრეთვე მჭერ-მეტყველი, ჭურა-მახვილი, სიტყვა მოსწრებულ-მოწონებული და შესახედათაც ლამაზი. მისდევს წიგლა-განთლებას. როგორც კარგის, ისთე აერს თვისების მიმდევარიც არის, მარა ყველა ეს, წარმომდგარი მისი შენე-

მარდობით (ყოჩაღობით) და არა სიძაბუნით, როგორც, შეგა-
ლითად, ქართლელს შესისხლ-ხორცებული იქვს ეს. გურული
ეოძრავია, გამქანვარე, როგორც მშეფარე წყალი. მისიათვის
ცხოვრება გურიაში უფრო ცოცხალია, ვიდრე სხვაგან საქარ-
თველოში. ამ სიცოცხლით აიხსნება, რომ გურიაში ისეა სწა-
ვლა-განათლება მოფენილი. აქ ნახივთ ბევრს ნასწარებს და
სწავლის მადევარს. აქ გახსნილია ბევრი სკოლები, როგორც
ერთ-ერთიანი, ისე ორ-კლასიანი, სამკითხველოები, სოფლის
ბანკები, საკომერციო ამხანაგობები, ქარხნები აღგილობრივ
ნაწარმოების დასამუშავებლათ. იმართება ხშირათ აქ წარმო-
დგენები და სხვა გიასრთობი საღამოები, მართავენ მეჯლისებს
და მისთანა საზოგადო კრებებს; სხვა და სხვა საჭირო დაწე-
სებულებათა დასაარსებლად, საღაც დედანიც კი იღებენ მო-
ნაწილეობას სჯა-კამათში. რასაკვირველია, ყველა ეს თავიანთ
ცხოვრების გასაუმჯობესებლად ხდება; გაერცელებულია იგ-
რეოვე მოდებზედ ჭრა-კერვა, როგორც პარიზის, ისე ნაციო-
ნალურ გემოვნებაზე; გემოზედვე იციან სმა-ჭამა, წვეულობა,
სტუმარ-მაინძლობა და სხვა. ერთი სიტყვით, აქ ეტყობა ხალხს
ცხოვრება ევროპიულ პანგზედ. „შენ ბატონი ხარ“, „მე თა-
ვადიშვილი“, „იგი ყაზახი“, აქ არ სუფევს, რადგანაც გაე-
რთებულია ცხოვრება.

გურული დიდი თავ-მომწონეთაა, როდესაც თავისი ლა-
მაზი ქალი (ცოლი) გვერდით ახლავს ჯარში. თავისი მეტი
ალარ ჰეგონია მას, თუ სულს სხვაც კი ითქვამს იქ იმოდენა
აუარებელ ხალხში.

სანაქებოა გურიაში, თუ უზომო ხარჯი მოხდინა მაინ-
ძელმა ტირილ-ქორწილში, ისეთი, რო წვეულნი სულ იმას
იძახდნენ ყველგან: «ვაშენე მისი ოჯახი, კოფერი ბროვული
ჰქონდა, კაბანიც იგი მითხარი, რო მისთანაპურ-დვინო ეცო-
დინებაო», ამ სიტყვებით, რო გაისტუმრებს კმაყოფილს სტუ-



მრებს, მაინძელი მეტის სიამოვნებისაგან აღარ ეტევა ტანში და ჰქონის აღმა.

ამისათვის მიღებულია საზოგადოთ, რომ ყველა ცდილობს, რაც შეიძლება კარგი პატივი სცეს სტუმრებს და ას-ცდეს უპურლეინობას, რითაც ერთს ათად მოუმატებენ და სა-ქვეყნოთ გალანძლვენ წვეულნი: «დეიტსო მისი ოჯახი, არა ჰქონია-რა კაბას მომზადებული და რაღაიზა გვიპატივებდა... დედო ქვესკნელში უნდა იყვეს მაგისთანა ბინძური კაბაში, არამცდა ზეზე არ დაიარებოდესოა... ამისთანა უწმაწური სიტ-ყვებით გამოლანძლავენ მაღლობის მაგიერ მაინძელს, ამისა-თვისაა მიღებული გურიაში კარგი მაინძლობა და საუკეთესო პურ-ლეინო.

გურული მანდილოსანი ზარმაცია ოჯახში, იგი როგო მოითავებს საშინაო საქმეებს (სადილ-ვაჭშმის გაკეთებას, და-წმენდა-დასუფთავებას და ქათამ-ლორის დაპურებას, მაშინ იგი ხელ-პირ დაბანილი (რასაკირველია, ფერ-უმარტლით შეტატუ-ლი) წამოჯდება პარმალზე (ბალკონზე) და გამვლელ-გამომ-ვლელს შარაზე უცქერის დროს გასატარებლად, ან არა და მეზობლობაში ჭორების არხივს ჩხრიკიას და მით ერთობა, რო-კა სხვაგან ქართველი ქალები ამისთანა დროს წინდა-ჰაკიქს მაინცა ქსოვენ თუ სხვა საქმე აღარ დაუჯდათ და ასე უქმათ კი არა დროს არ დაკარგვენ დროსა.

საშინლად სძულო ლამაზი ქალი მეზობელ ქალებსა, რო-დესაც მას (ლამაზს) ბევრი ტრფიალი ესევა გარშემო და უფრო კი უცვართ ულამაზო და მახინჯი, რასაკირველია, რომელთაც სრულიათ არაეინ ეტრტისთ.



სკოლიდგან შინ მოსულმა შეიდი წლის ბავშვმა დაიქა-
ღნა: «ძალიავლებელს ტუკით დაუხვდები შარაზეო!».
— «რაიზა, ბიჭო», — ჰეითხეს უფროსებმა.
— «რეიზა და მთლა თმით ამაქიჩა თავზეო და სირცეე-
ლი მაჭამა ბალნებშითა».



1530

